ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3529588

ნომერი: AR1534309

თარიღი : 22.08.2017

გაცემის თარიღი : 11.09.2017

გაცნობის თარიღი : 11.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა გვანცელაძე პ/ნ 01009004474
- თბილისი პ.ქავთარაძის ქ. N 25 კორ. 1 ბ. 58

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22 აგვისტოსს #AR1534309 განცხადებით მომართეს, შოთა გვანცელაძემ ციცინო ახობაძემ და ხათუნა გრიგალაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს 2008 წლის 16 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 16 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობები დამტკიცებულია N01.14.03.38.023 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, სავაჭრო, საოფისე) აშენების მიზნით.
დღევანდელი მდგომარეობით შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, საკადასტრო კოდის და

ფართობის უცვლელად. შესაბამისად, განმცხადებლები ითხოვენ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 16 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობებში აისახოს ხსენებული ცვლილება და დაფიქსირდეს განახლებული გეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 16 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობებში და დაემატოს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: 01.14.03.038.023; განცხადების ნომერი: 882017523796 მომზადების თარიღი: 21/08/2017 ფართობი: 907 კვ.მ;);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 16 იანვრის №21 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.